ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონის 2022 წლის ანგარიში

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა მამისონი მოსახლეობას სთავაზობს სპორტულ მომსახურებას ფეხბურთის სფეროში, სკოლის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვებსა და მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა და მისი პროპაგანდა, ფეხბურთის განვითარება და პოპულარიზაცია, საერთაშორისო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის მიღება. საფეხბურთო სკოლაში ფუნქციონირებს ფეხბურთის ორი ჯგუფი, ერთი არის მოსამზადებელი, მეორე კი სასწავლო საწვრთნელი.ფეხბურთში ჩართულია სუ 54 ბავშვი,რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ როგორც მუნიციპალურ, ასევე ქვეყნის მაშტაბით გამართულ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებსა და ტურნირებში. სკოლაში დასაქმებულია 12 თანამშრომელი, მეცადინეობას ატარებს სამი მწვრთნელი, მათ შორის ორი ლიცენზირებული, რომლებსაც აქვთ UEFA-ს B კატეგორიის ლიცენზია და UEFA-ს C კატეგორიის ლიცენზია.

2022 წელს გამოყოფილი იყო 84000 ლარი.საკუთარი შემოსავალის გეგმა 1320 ლარი, გრანტი 5000 ლარი, 2021 წელს სუბსიდია იყო გეგმით-30779 ლარი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა-14175 ლარი,სპორტულ ღონისძიებებში-870 ლარი, რბილ ინვენტარსა და უნიფორმის შეძენაში- 4850 ლარი. 2022 წლის ხარჯვის ნაწილი შეადგენდა 79982 ლარს. აქედან შრომის ანაზღაურებაში გაიხარჯა 39271ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაში-3570 ლარი, დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში 12955 ლარი. საქონელი და მომსახურებაში - 26806 ლარი.

საანგარიში წელს დაგეგმილი იყო 12 სპორტული ღონისძიება, როგორც ადგილობრივი ისე გასვლითი ტურნირები. აქედან ჩატარდა 10 სპორტული ღონისძიება. სპორტულ ღონისძიებებში გაწერილი იყო 15120 ლარი, გაიხარჯა- 12955 ლარი. მ.შ როგორც მუნიციპალურ ისე ქვეყნის მაშტაბით გამართულ ტურნირებში მივიღეთ მონაწილეობა. არჩილ ჩაგელიშვილის და ლევან კენჭაძის რეგიონალურ პირველობაზე, საფეხბურთო სკოლა მამისონის ფეხბურთელთა გუნდმა დაიკავა მე-2 ადგილი.

ქვეპროგრამის მიზანია:

- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.სპორტული ღონისსძიებების მაღალ დონეზე ჩატარება.

მერიის მიერ უზუფრუქტით გადმოცემული სპორტული მოედანი გამოყენებული არის მიზნობრივად. მიმდინარეობს მეცადინეობები და ტარდება დაგეგმილი ღონისძიებები.

სკოლას არ აქვს საოფისე ფართი, თანამშრომლები განთავსებული არიან სპორტული მოედნის გასახდელებში, რაც ართულებს დასაქმებულების ფუნქცია მოვალეობების შესრულებას. განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ინვენტარი და მატერიალური რესურსი არ არის საკმარისი, ხელის შემშლელი ფაქტორი არის ის რომ, სკოლას არ აქვს საოფისე ფართი.

2023 წელს იგეგმება მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება, აქვე მოგახსენებთ, რომ საანგარიშო წელს სკოლის დირექტორმა და ფეხბურთის მწვრთნელმა გაიარეს UEFA-ს “C” ლიცენზიის "Refresh"[RB2022_2] კურსები. რაც შეეხება მეთოდურ მუშაობას, სკოლაში შექმნილია მწვრთნელთა საბჭო , რომელიც სისტემატურად იხილავს სკოლის საჭირო საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ მითითება.

სკოლა ორიენტირებულია მიაღწიოს წარმატებებს, ვიმედოვნებთ ყველა დაგეგმილ ღონისძიებაში წარმატებით იასპარეზებენ სკოლის აღსაზრდელები.

პატივისცემით,

ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტისსაფეხბურთო სკოლა მამისონის

დირექტორი: ერმილე ჩიტალაძე